



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„თამარ დედფალი“

„თამარ დედფალი“, სვანური ფერხული. სიტყვიერი ტექსტი შექმნილია თამარ მეფის სვანეთში ჩასვლასთან დაკავშირებით. შემსრულებლები ქება-დიდებას ასხამენ თამარ მეფეს, მის სილამაზეს, აღჭურვილობას, ცხენის მოკაზმულობას და სხვ. ფერხულის ტექსტის ანალიზი მიგვანიშნებს, რომ ქართვე. ხალხი თამარ მეფეში ხედავდა არა მარტო დედოფალს და ქალისათვის დამახასიათებელ სინაზეს, არამედ მეომარ მეფეს, რ-საც ატლასის კაბაზე აბჯარი ეცვა, თავზე ზუჩი ეხურა და წელზე ხმალი ეკიდა. ფერხულში მონაწილეობს ნებისმიერი რაოდენობის. ქალ-ვაჟი. სრულდება ამავე სახელწოდების ორპირული სამხშიანი სიმღერით. სიმღერის პირველი ნაწილის ("რავექენსიას"), ზომაა 6/8, მეორესი კი ("საიერიშოს") – 4/4.

ლიტ.: თ ა თ ა რ ა ძ ე ა., ქართული ხალხური ცეკვა, თბ., 2010.
